ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის ბრძანება

N 3408
07/12/2016

3408-02-4-201612071744

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 21 ივლისის N37 ბრძანებაში „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას დამატება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 21 ივლისის N37 ბრძანების დანართ N1-ში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი N10[1] - მოსამსახურის ჩაცმულობის შესახებ

1. მოსამსახურე ვალდებულია სამუშაო დღეებში მიმართავდეს ჩაცმულობის საქმიან სტილს, ჰქონდეს მოწესრიგებული იერსახე და ატაროს საქმიანი გარემოსათვის შესაფერისი სამოსი, სამსახურეობრივი უფლებამოსილება განახორციელოს მოწესრიგებული ჩაცმულობით, ზნეობრივ-ეთიკური ნორმების შესაბამისად.
2. სამსახურში მისაღებია კლასიკური შარვლის, შავი ჯინსის, კლასიკური კაბის - ქვედაბოლოს (მინიმალური სიგრძე სამი-ოთხი სანტიმეტრი მუხლის თავიდან), პერანგის და პიჯაკის ჩაცმა.
3. **დაუშვებელია** სამუშაოზე გამოცხადდეს მოსამსახურე სპორტული სტილის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, ტანზე მომდგარი შარვლით, კაბითა თუ ქვედაბოლოთი, ღრმა დეკოლტირებული და გამჭვირვალე პერანგით, წვრილი ზონარის მქონე ყველასახის ტანსაცმელით.
4. დაუშვებელია სამსახურში მკვეთრი მაკიაჟითა და არასტანდართული თმის ვარცხნილობით გამოცხადება.
5. მოხელეები და თანამდებობის პირები რომელსაც სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე ყოველდღიურად უწევთ მოქალქეებთან, ოფიციალურ პირებთან და სხვადასხვა დაწესებულებებთან ურთიერთობა ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან ჩაცმის კლასიკური სტილი.
6. იმ მოხელის მიმართ, რომელიც ამ მუხლით განსაზღვრული ჩაცმის სტილის დარღვევით გამოცხადდება სამსახურში გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები“.

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 E- mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com